



უსდ-ს ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: სიბოლტ ნოორდა, ამსტერდამის უნივერსიტეტი, ნიდერლანდები

წევრები:

ქალბატონი ჯოზეტ (ჯოუკი) დენეკენსი, ანტვერპენის უნივერსიტეტი, ბელგია (თანათავმჯდომარე);
ქეთევან კანკავა (სტუდენტი ექსპერტი), თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი,
საქართველო; ქ-ნი ეკა ლეფსველიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; თორნიკე
გურული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო; ელენე ჯიბლაძე, ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტი, საქართველო; მაია შიშნიაშვილი (დამსაქმებელი ექსპერტი), ინოვა მენეჯმენტ
კონსალტინგი, საქართველო; ქეთევან კოტეტიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
საქართველო; ირმა მანჯავიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი

2018

ავტორიზაციის ანგარიშის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (TSU) დაარსდა 1918 წელს და მის ბაზაზე მხოლოდ ერთი, ფილოსოფიის ერთიანი ფაკულტეტი ფუნქციონირებდა. ახლა უნივერსიტეტში ფუნქციონირებს 7 ფაკულტეტი (ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ჰუმანიტარული, ეკონომიკისა და ბიზნესის, მედიცინის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, სამართლის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა) და სთავაზობს 218 აკრედიტებულ აკადემიურ პროგრამას (67 საბაკალავრო, 96 სამაგისტრო, 3 ერთსაფეხურიანი (single-level), 50 სადოქტორო, 1 მასწავლებლის მომზადების, 1 ქართულ ენაში მომზადების), 12 ერთობლივ საერთაშორისო პროგრამასა და 130 გაცვლით პროგრამას. სულ ჩარიცხულია 20005 აქტიური სტატუსის და 7333 შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტი. პერსონალის სრული რაოდენობაა 5453, რომელთაგან 2413 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალია. სწავლების ენა ქართულია, თუმცა უნივერსიტეტი, ასევე, სთავაზობს ორენოვან პროგრამებს ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ ენებზე; პროგრამებს ინგლისურ ენაზე. სწავლის პროცესის პარალელურად თსუ ჩართულია კვლევით საქმიანობაში, მისი 7 ფაკულტეტითა და 16 დამოუკიდებელი კვლევითი ერთეულით. უკანასკნელი ავტორიზაციის შემდგომ პერიოდში განხორციელდა დაახლოებით 1000 კვლევითი პროექტი. მათი დიდი რაოდენობა წარიმართა საერთაშორისო თანამშრომლობით.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ადგილზე ვიზიტი

თვითშეფასების პროცესი თსუ-ში მიმდინარეობდა 2017 წლის სექტემბრიდან 2018 წლის მარტამდე. სხვა საქმიანობასთან ერთად, იგი მოიცავდა რიგი პროგრამების შეფასებას, გამოკითხვებსა და სამუშაო ჯგუფის მიერ თვითშეფასების ანგარიშის მომზადებას. საბოლოო ანგარიში და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების შესაბამისი რაოდენობა გადაეგზავნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და დროულად გადაეცა მიმოხილვის ჯგუფს. დოკუმენტაცია იყო კარგად ორგანიზებული და თითქმის ყველა შემთხვევაში ახლდა ინგლისური თარგმანიც.

2018 წლის 4-8 ივნისს, ექსპერტთა ჯგუფი ეწვია თსუ-ს და განახორციელა 24 პირისპირ და 20 ჯგუფური ინტერვიუ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, პერსონალთან, დეკანებთან, ფაკულტეტებთან, კვლევითი ინსტიტუტების დირექტორებთან, სტუდენტებთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან და სხვა გარე დაინტერესებულ მხარეებთან. ჯგუფი, ასევე ესტუმრა უნივერსიტეტის რიგ შენობებსა და ობიექტებს.

8 ივნისს, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ უნივერსიტეტში ჩაატარა ჯგუფის ძირითადი დასკვნების ზეპირი პრეზენტაცია.

ადგილზე ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული თსუ-სა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და წარიმართა გეგმის მიხედვით. ვიზიტი უზრუნველყოფილი იყო კარგი ხარისხის პროფესიონალური თარგმანით.

სტანდარტებთან უსდ-ს შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციების შეჯამება:

თსუ-ს განახლებული მისიის, ღირებულებებისა და ხედვის თვალსაზრისით რეკომენდებულია, რომ აღნიშნული მისია და ღირებულებები სრულიად საუნივერსიტეტო საზოგადოებამ გაიზიაროს და აქციოს საკუთარ ვალდებულებად.

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული პრიორიტეტული ნაბიჯებისათვის შეიმუშავოს კარგად ჩამოყალიბებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და შექმნას განხორციელების მონიტორინგის ძლიერი სისტემა.

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა განახორციელოს მისი გეგმა ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის პროცესების მოდერნიზების თაობაზე. მოდერნიზაციის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ადმინისტრაციული და მმართველობითი სამსახურების მეტი ეფექტიანობა და მაღალი ეფექტურობა ხარჯების შემცირებით, უფრო მცირე ბიუროკრატია და მეტი დრო და ბიუჯეტი უნივერსიტეტის უმთავრესი საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესებისათვის. უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად მისმა წარმომადგენლობითმა ორგანოებმა უნდა გამოავლინონ გუნდური ერთსულოვნებისა და თანამშრომლობის მაღალი ხარისხი.

რეკომენდებულია, რომ მასობრივი ხარისხის კულტურის მისაღწევად უნივერსიტეტმა გააგრძელოს საკუთარი ძალისხმევა ხარისხის უზრუნველყოფაზე მუშაობის ინტენსიფიკაციის კუთხით და უპირველეს ყოვლისა, საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განვითარებისა და განახლების პროცესში გაითვალისწინოს სტუდენტთა მოსწრების სტატისტიკა და შეფასების რჩევები.

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა ორგანიზება გაუწიოს სარეკლამო კამპანიას და მოაწიოს სასწავლო ვორკშოპები აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხზე ცნობიერების ამაღლების მიზნით; უზრუნველყოს, რომ ყველა პროფესორი და სტუდენტი კარგად იცნობდეს აკადემიურ ნორმებსა და სანქციებს დარღვევების შემთხვევაში, და თავიდან აიცილონ ასეთი დარღვევები.

რეკომენდებულია, რომ რისკის ქვეშ მყოფი სტუდენტების გამოსავლენად და ინდივიდუალური სწავლების საჭიროებების დასადგენად სისტემატურად გამოიყენებოდეს სტუდენტთა სწავლის პროგრესის შესახებ სტატისტიკური მონაცემები.

რეკომენდებულია, რომ მედიცინის ფაკულტეტმა, უკეთ მოახდინოს კომპეტენციებში ცოდნის, უნარებისა და ქცევის ინტეგრირება. 2018 წლის დოკუმენტის კრიტერიუმების გათვალისწინებით საჭიროა უნარების მეტი სწავლება, განსაკუთრებით პროცედურული უნარების მიმართულებით, კლინიკური აზროვნებისა და დიფერენციალური დიაგნოზის დასმის უნარების ჩათვლით.

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტებისათვის ტესტების შედეგებზე დროული და პირდაპირი გამოხმაურების მიწოდება.

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გადახედოს თავისი პოლიტიკის, კრიტერიუმებისა და მიზნების თანამიმდევრულ დაგეგმვას, რათა თანდათანობით ასაკობრივად უფრო დაბალანსებული გახადოს აკადემიური პერსონალი.

რეკომენდებულია, რომ გაძლიერდეს და განვითარდეს სტუდენტთა კარიერული მხარდაჭერა, სტუდენტთა სტაჟირება და საინფორმაციო სერვისები უცხოელი სტუდენტებისთვის.

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა აქტიურად შეუწყოს ხელი საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებას (ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობაში, ცოდნის

გადაცემაში, სადოქტორო ზედამხედველობასა და სადოქტორო სკოლებში, კვლევისა და განათლების დაკავშირებაში) ყველა ფაკულტეტსა და სფეროში კვლევითი საქმიანობის ზრდის სტიმულირებისთვის. უნდა შემუშავდეს თსუ-ში კვლევითი ინსტიტუტების უკეთ ინტეგრაციის მიზნობრივი სტრატეგია.

რეკომენდებულია, რომ ახალი კვლევის შეფასების პროცესი ითვალისწინებდეს კვლევითი "პროდუქტების" ფართო კომპლექტს და მათ ზემოქმედებას.

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტი ჩაერთოს გრძელვადიანი ყოვლისმომცველი აქტივების დაგეგმვის პროცესში და შეეცადოს ააღებინოს ხელისუფლებას თსუ-ს კვლევითი და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის ძირეულად გაუმჯობესების ვალდებულება.

რეკომენდებულია, რომ ყველა ბიბლიოთეკა უკეთ მომზადდეს საერთაშორისო (არაქართულენოვანი) სტუდენტებისა და პერსონალის მომსახურებისთვის. ზოგადად, უფრო ინტენსიურად უნდა იქნას გამოყენებული ელექტრონული ბიბლიოთეკის რესურსები.

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა შეისწავლოს ფინანსური მართვის სისტემის მოდერნიზაციის შესაძლებლობები და სასურველია, რომ ეს მოხდეს საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობაში.

რჩევების შეჯამება:

გთავაზობთ, რომ უნივერსიტეტის მასშტაბით პრიორიტეტი გახდეს საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი და სისტემატური მოდერნიზება.

გთავაზობთ, რომ შემოიღოთ საბაზისო კრედიტების უფრო მოქნილი ფორმები/მოცულობები (ვიდრე მხოლოდ 5 ან 10). ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაცია უნდა იყოს საერთო მახასიათებელი პროგრამის დაგეგმვის პროცესში.

თსუ-ს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია უნდა განხორციელდეს ახალი საერთაშორისო სასწავლო პროგრამების შექმნის კონტექსტში, რომელიც უნდა მოიცავდეს უკვე არსებულ ინტერდისციპლინარულ პროგრამებს.

გთავაზობთ, რომ გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რათა იგი იყოს უფრო მტკიცე და ნაკლებად სადავო. სამართლიანი გასაჩივრების პროცედურები უნდა გულისხმობდეს შემფასებლად მესამე მხარეს.

მიზანშეწონილი იქნებოდა მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეკვება, რათა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის როლი და პასუხისმგებლობა.

გთავაზობთ, რომ კვლევისა და განვითარების დეპარტამენტმა შეაფასოს საკუთარი ეფექტიანობა და ხელახლა განსაზღვროს საკუთარი საქმიანობის პრიორიტეტები იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად ამოცანების საკმაოდ ფართო სპექტრი შეზღუდულ პერიოდზეა გათვლილი.

გთავაზობთ, რომ უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტი გახდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის პირობების შექმნას.

გთავაზობთ, რომ უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს ორ მთავარ ბიბლიოთეკას შორის თანამშრომლობას.

ინტერნაციონალიზაციის ინტერესიდან გამომდინარე, გთავაზობთ, რომ ხელახლა შეაფასოთ შეზღუდული შესაძლებლობის სტუდენტებისთვის შესაბამისი ინტერნეტ მომსახურების მიწოდების საკითხი.

ვებ-გვერდის შინაარსი, ორივე ენაზე (ქართულად და ინგლისურადაც) უნდა იყოს სრული და იდენტური.










საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება

თსუ აფინანსებს სტუდენტურ პროექტებს, აქვს სტუდენტური ჟურნალების სერია შედეგების გამოქვეყნებისთვის და ორგანიზებას უწევს სტუდენტურ კონფერენციებს. ეს კარგი საშუალებაა იმის დემონსტრირებისათვის, რომ ამ კვლევით უნივერსიტეტში ყველა პროგრამის სტუდენტები არიან წახალისებულნი კვლევით საქმიანობაში აქტიურობისათვის. სტუდენტები სარგებლობენ სწავლის საფასურის გადახდის ხელსაყრელი და მოქნილი სქემებით.

სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან დაწესებულების შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.1	უსდ-ს მისია	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
1.2	სტრატეგიული განვითარება	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.2	შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4	უსდ-ის პერსონალი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.1	პერსონალის მართვა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების და შეცვლის, განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.1	კვლევითი საქმიანობა	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.1	მატერიალური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.3	საინფორმაციო რესურსები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
7.4	ფინანსური რესურსები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. სიბოლტ ნოორდა (თავმჯდომარე) 
2. ჯოზეტი (ჯოუკ) დენეკენსი (თანათავმჯდომარე) 
3. ქეთევან კანკავა (წევრი) 
4. ეკა ლეფსვერიძე (წევრი) 
5. თორნიკე გურული (წევრი) 
6. ელენე ჯიბლაძე (წევრი) 
7. მაია შიშნიაშვილი (წევრი) 
8. ირმა მანჯავიძე (წევრი) 
9. ქეთევან კოტეტიშვილი (წევრი) 

ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ს მისიის შესახებ განაცხადი განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სფეროში და ფართო საზოგადოებრივ კონტექსტში. უსდ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება დაწესებულების მიზნებს და აღწერს ამ მიზნების მიღწევის საშუალებებს.

<p>1.1 უსდ-ის მისია</p>
<p>უსდ-ს მისიის შესახებ განაცხადი შეესაბამება საქართველოსა და ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო მიზნებს, განსაზღვრავს მის როლს და ადგილს უმაღლესი განათლების სფეროში და საზოგადოებაში, როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო მაშტაბით.</p>
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>თსუ ნათლად და სათანადოდ აღწერს თავის მისიას, როგორც მრავალი მიმართულების მქონე სამეცნიერო უნივერსიტეტი და ქართული კულტურული და სამეცნიერო ტრადიციების ნაწილი (სხვა საქმიანობასთან ერთად, მიმართულია ეროვნული და საყოველთაო ღირებულებების პოპულარიზაციაზე, საზოგადოების განვითარებაზე, ახალი ცოდნის შექმნასა და გავრცელებაზე, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებაზე და უწყვეტ განათლებაზე), რომელიც იზიარებს უნივერსიტეტების თავისუფლების ქართის ღირებულებებს და მიზნად ისახავს გახდეს საერთაშორისო მნიშვნელობის უმაღლესი საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი, რომელიც საკუთარ პროგრამებში ჰარმონიულად ასახავს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უზრუნველყოფს კვლევითი საქმიანობის ზრდასა და მისი ძირითადი პროცესების ინტერნაციონალიზაციას 2024 წლისთვის.</p> <p>ფაქტობრივად, ახლად მიღებული მისიის განაცხადი ჯერ მხოლოდ დაწერილი დოკუმენტია. ჯგუფმა ვერ დაადგინა, რომ მას უკვე იცნობს და იზიარებს საუნივერსიტეტო საზოგადოება.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>თსუ-ს მისიის, ღირებულებებისა და ხედვის განახლებული ფორმულირება დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ 2018 წლის 26 თებერვალს. ამის ნახვა შეიძლება თვითშეფასების ანგარიშში. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული განცხადებები განიხილა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, პერსონალთან, ფაკულტეტსა და სტუდენტებთან.</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>თსუ-ს განახლებული მისიის, ღირებულებებისა და ხედვის თვალსაზრისით რეკომენდებულია, რომ აღნიშნული მისია და ღირებულებები სრულიად საუნივერსიტეტო საზოგადოებამ გაიზიაროს და აქციოს საკუთარ ვალდებულებად.</p>
<p>რჩევები:</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს</p>
<p>1.2 სტრატეგიული განვითარება</p>
<ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების (7-წლიანი) და სამოქმედო (3-წლიანი) გეგმები. ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, დაწესებულებაში გენერირებულ ცოდნას უზიარებს საზოგადოებას და ხელს უწყობს უწყვეტ განათლებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ს გააჩნია საჭირო ვადების სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები. ეს გეგმები 2016 ვერსიის განახლებული ვარიანტებია. ისინი მოამზადა სპეციალურმა სამუშაო ჯგუფმა და მიღებულ იქნა აკადემიური საბჭოს მიერ 2018 წლის 26 თებერვალს.

სტრატეგიული გეგმა 2018-2024 გვთავაზობს 10 სტრატეგიული მიზნის ყოვლისმომცველ კატალოგს, რომელთაგან თითოეულს გააჩნია სტრატეგიული ამოცანების საკმაო რაოდენობა.

მთლიანობაში, იგი აჩვენებს თუ საით სურს უნივერსიტეტს წასვლა. თუმცა მეთოდოლოგიის აღწერა საკმაოდ მოკლეა და ძირითადად შემოიფარგლება გეგმის შექმნის ორგანიზების პროცესით.

იგივე ეხება განხორციელების მონიტორინგის აღწერას. SWOT- ანალიზი ძირითადად წარმოდგენილია სიღრმისეული განმარტებითი ინფორმაციის გარეშე და მხოლოდ ნაწილობრივ უკავშირდება კონკრეტულ სტრატეგიულ მიზნებს. ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულ ხარვეზებს უკავშირებს სტრატეგიული დაგეგმვისა და მონიტორინგის კარგი და გამოცდილი მეთოდოლოგიის (PDCA ტიპის ან მსგავსი მოდელის) არასაკმარის დონეზე ფლობას.

2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა წარმოადგენს 150-ზე მეტი სპეციფიკური გასატარებელი ზომებისა და განსხვავებული მასშტაბისა და ზომის პროექტის ვრცელ მიმოხილვას. ექსპერტთა ჯგუფი ვერ პოულობს პრიორიტეტების განსაზღვრას, დასახული მიზნების წარმატებულად მიღწევისთვის საჭირო ვალდებულების ტიპსა და საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩართულობის მკაფიო მითითებას; ასევე, აკლია არსებული მდგომარეობისა და ადრე განხორციელებული ქმედებების წარმატება-წარუმატებლობის ძირითადი ანალიზი, რადგან არ არსებობს შესაბამისი მონიტორინგის მონაცემები და შესრულების ინდიკატორები..

ამიტომ ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ თსუ-ს ჯერ შესამუშავებელი აქვს სისტემატური დაგეგმვისა და მონიტორინგის ფართო საუნივერსიტეტო პრაქტიკა. ეს უდაოდ გვიჩვენებს სტრატეგიული დაგეგმვის შესაძლებლობების განვითარების ამბიციას, რაც კიდევ ერთხელ დასტურდება მისი გეგმით 2020 წლისთვის EUA / IEP- ის სტრატეგიული ექსპერტის მოწვევის თაობაზე (სტრატეგიული მიზანი 10). როგორც განსაკუთრებულ საკითხს, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ მაქსიმალური ეფექტისთვის უმჯობესი იქნებოდა მონიტორინგის პროცესისა და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ჩატარება სხვადასხვა ჯგუფების მიერ.

თსუ აშკარად უწყობს ხელს ქვეყნის სოციალურ განვითარებას, ავრცელებს ცოდნას და ხელს უწყობს უწყვეტ განათლებას. VII სტრატეგიული მიზანი მიუთითებს იმაზე, რომ გარე პარტნიორებთან თანამშრომლობის გზით იგი უფრო მეტს გეგმავს.

მედიცინის ფაკულტეტი

მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მიერ შემოთავაზებული ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმა დამტკიცდა სამედიცინო ფაკულტეტის მიერ 2018 წლის თებერვალში. გეგმაში გამოყოფილია განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები, როგორებიცაა კვლევა და ინოვაცია, განათლება და სწავლება და ინსტიტუციური განვითარება. არ არსებობს მყარი კავშირები ცენტრალური სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებსა და მედიცინის ფაკულტეტის გეგმებს შორის, ფაკულტეტს აქვს საკმაოდ დიდ ავტონომია იმისათვის, რომ თავად გადაწყვიტოს რომელ სამოქმედო გეგმას განვითარებს და რომელს არ დაუჭერს მხარს. ინტერვიუების მიხედვით, თანამშრომლები და სტუდენტები არ იცნობდნენ ფაკულტეტის სტრატეგიულ გეგმას. გადაწყვეტილებებს იღებენ დეკანი და ფაკულტეტის საბჭო. ჩამორჩენაა გადაწყვეტილებების გაზიარებისა და კომუნიკაციის პროცესში. სტუდენტურ ჩართულობაზე ყურადღება არაა გამახვილებული. მიუხედავად ასეთი სიტუაციისა სტუდენტები მაინც კმაყოფილები ჩანან (გასაუბრების შედეგები). ამ ფაკულტეტზე არ არსებობს სხვადასხვა სამოქმედო გეგმის პროგრესის მონიტორინგის სისტემა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

ექსპერტებთან წარმოდგენილი იყო, როგორც სტრატეგიული, ასევე სამოქმედო გეგმა. თვითშეფასების ანგარიში აღწერს სტრატეგიული განვითარების გეგმის შექმნის პროცესს და სთავაზობს რამდენიმე კომენტარს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე. ექსპერტთა ჯგუფმა ხელმძღვანელობასა და პერსონალთან ინტერვიუებიდან დაადგინა, რომ თსუ-ს მომართულია თავისი გეგმების სრულად განხორციელებაზე.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავოს ჩამოყალიბებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, შექმნას მონიტორინგის ძლიერი სისტემა და მოახდინოს 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ქმედებებიდან პრიორიტეტების შერჩევა.

რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ეფუძნება განათლების სექტორის საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვის პროცესში მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიან გამოყენებას. ეს მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში, და ხელს უწყობს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დანერგვას

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
<ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს თავის სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი მიზნებისა და ღონისძიებების განხორციელებას ○ უსდ-ს მმართველ ორგანოთა არჩევის/დანიშვნის პროცედურები არის გამჭვირვალე, სამართლიანი, და კანონმდებლობის შესაბამისი ○ უსდ-ს ხელმძღვანელობა/მმართველი ორგანო უზრუნველყოფს დაწესებულების საკმიანობის ეფექტიან მართვას. ○ უსდ-ს მისიისა და მიზნების გათვალისწინებით, უსდ-ს ხელმძღვანელობა ხელს უწყობს დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობასა და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ, მსგავსად მსოფლიოს უმეტესობა ფართო კვლევითი უნივერსიტეტებისა, არის დიდი, რთული/კომპლექსური, უფლებამოსილება გადანაწილებული ორგანიზაცია. როგორც ცენტრალურ დონეზე, ისე ფაკულტეტების დონეზე, ერთი მხრივ სწავლებისა და კვლევის ძირითადი პროცესების, მეორე მხრივ, ადმინისტრაციული და მხარდაჭერის პროცესების ორგანიზება ხდება ტრადიციული ხაზით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არჩევისა და დანიშვნის სათანადო პროცედურების დაცვით.

აღსანიშნავია, რომ თავის სტრატეგიულ გეგმაში თსუ სწორად მიუთითებს ინსტიტუციურ განვითარებას, როგორც ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ მიმართულებას (სტრატეგიული მიზანი 10). უნივერსიტეტის მართვის პროცესების მოდერნიზება განიხილება მნიშვნელოვან გადადგმულ ნაბიჯად ეფექტურობის გაუმჯობესების კუთხით. ამ მიზნის მისაღწევად თსუ-მ ცოტა ხნის წინ მოითხოვა გარე კონსულტაცია.

თსუ-ს თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია დღევანდელი/არსებული ორგანიზაციული სტრუქტურა. აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტის სტრუქტურა ეფუძნება აუდიტის ანგარიშსა და PWC- სგან მიღებულ ძირითად რეკომენდაციებს. იგი აცხადებს, რომ საჭირო ცვლილებების პირველი ეტაპი რეალიზებულია.

თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიპოვა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მიერ PWC რეკომენდაციებისა და ახალი მენეჯმენტის სტრუქტურის დანერგვის გეგმის მკაფიო შეფასება. მე-10 სტრატეგიული მიზნის სხვადასხვა ქვე-მიზნები არც კი მოიხსენიებს აღნიშნულ გეგმას. ისინი ასახელებენ რიგ იზოლირებულ ინტერვენციებს (მაგ. მენეჯმენტის პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით, X.6 ამოცანა ცენტრალურ და ფაკულტეტის ადმინისტრაციებს შორის მოვალეობების გამიჯვნა და შედეგზე ორიენტირებული მართვის სისტემა, ნაცვლად პროცესზე ორიენტირებული სისტემისა) ყოველგვარი მინიშნების გარეშე, თუ როგორ შეიძლება ამ მიზნის მიღწევა, რა სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდება და როგორი იქნება მოდერნიზებული პროცესი.

უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ SWOT- ის ანალიზში „ბიუროკრატიული პროცესები“ დასახელებულია, როგორც ერთ-ერთი სუსტი მხარე, ძალიან მწელია სამოქმედო გეგმაში რაიმე ქმედების პოვნა, რომელიც ამის შეცვლისკენ იქნებოდა მიმართული.

ანალოგიურად, თვითშეფასების ანგარიშის მახასიათებლები (გვ. 12) მოიცავს მიზანს - ხარჯების შემცირებას (როგორებიცაა მაგალითად აკადემიური / სამეცნიერო პერსონალის უკეთესი შეფარდება ადმინისტრაციულ / დამხმარე პერსონალისთან მიმართებაში და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება საერთო ბიუჯეტში), სამოქმედო გეგმაში იმის მითითების გარეშე, თუ როგორ შეიძლება ამის მიღწევა.

ამ დაკვირვების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ თსუ-ს აქვს მკაფიო ამბიცია შეიცვალოს მართვის სტრუქტურები და პროცესები, მაგრამ ჯერ კიდევ აკლია ამ ცვლილებების განხორციელებისთვის საჭირო ნათელი

<p>და კარგად სტრუქტურირებული გეგმები. ბიუროკრატის შემცირება და მენეჯმენტის ეფექტურობის გაზრდა მოითხოვს ყოვლისმომცველ სტრატეგიულ დაგეგმვასა და ძალიან ზუსტ სამოქმედო გეგმებს.</p> <p>დამატებითი შენიშვნა მედიცინის ფაკულტეტის შესახებ. მას აქვს საკუთარი დებულება, რომელიც არეგულირებს ფაკულტეტის საბჭოს, დეკანის, დამხმარე ერთეულების მუშაობას და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის პასუხისმგებლობას შემდგომ განვითარებასა და გაუმჯობესებაში.</p> <p>ჯგუფისთვის ცნობილი გახდა, რომ თსუ-ს ცენტრალურ ერთეულებთან ურთიერთობა უკეთესია, ვიდრე ადრე. თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობა იყო კარგი ინსტრუმენტი, რომელმაც ხელი შეუწყო ცენტრალურ ერთეულებსა და ფაკულტეტებს შორის თანამშრომლობასა და კომუნიკაციას.</p> <p>ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ჯგუფმა ვერ დაინახა, რომ წარმომადგენლობითი ორგანოები უნივერსიტეტის მასშტაბით სტრატეგიული მიზნების განხორციელებაში ხედავენ საკუთარ მანდატს და ჯგუფმა ვერც ის დაინახა, რომ მთელი უნივერსიტეტი მუშაობდეს კოორდინირებულად. მაგალითად, აკადემიური საბჭოს წევრებმა, როგორც ერთობლივი, თანამშრომლობითი ორგანოს წარმომადგენლებმა, თავიანთი კონკრეტული ფაკულტეტის ინტერესებზე უფრო მეტად გაამახვილეს ყურადღება, ვიდრე ნებისმიერ საერთო ინიციატივასა და საკითხზე. ექსპერტთა ჯგუფს მსგავსი შთაბეჭდილება ჩამოუყალიბდა სენატის მიმართაც. მათი წევრები, როგორც ჩანს, თავიანთ როლს განიხილავენ ანგარიშვალდებულებაში, ძირითადად, უნივერსიტეტის მენეჯმენტის წარმომადგენლების არჩევის კუთხით. წარმომადგენლობითმა ორგანოებმა ვერ დატოვეს ექსპერტთა ჯგუფზე შთაბეჭდილება, რომ წარმომადგენელ უნივერსიტეტის მასშტაბით ხარისხის კულტურის განვითარების ძირითად პლატფორმას, ანუ, როგორც ორგანოებმა, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ უნივერსიტეტის საყოველთაო ჩართულობას გაუმჯობესებას პროცესებში.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>თვითშეფასების ანგარიშში აღწერს ამჟამინდელ/არსებულ სტრუქტურასა და მენეჯმენტს, წარმომადგენს საოფისე სამუშაოსა და დოკუმენტების ბრუნვის შესახებ ძალიან დეტალურ მონაცემებს, მიუთითებს რომ არსებული პროცესები ხორციელდება მოქმედი რეგულაციების შესაბამისად. სტრატეგიული გეგმა მიუთითებს ამბიციურ ცვლილებებისა და ინსტიტუციური განვითარების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან და თანამშრომლებთან ინტერვიუებში განიხილა აღნიშნული თემები.</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა განხორციელოს მისი გეგმა ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის პროცესების მოდერნიზების თაობაზე. მოდერნიზაციის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ადმინისტრაციული და მმართველობითი სამსახურების მეტი ეფექტიანობა და მაღალი ეფექტურობა ხარჯების შემცირებით, უფრო მცირე ბიუროკრატია და მეტი დრო და ბიუჯეტი უნივერსიტეტის უმთავრესი საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესებისათვის. უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად მისმა წარმომადგენლობითმა ორგანოებმა უნდა გამოავლინონ გუნდური ერთსულოვნებისა და თანამშრომლობის მაღალი ხარისხი.</p>
<p>რჩევები:</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>შეფასება</p> <p>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>
<p>2.2 შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ დაწესებულება ეფექტიანად ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს. დაწესებულების ხელმძღვანელობა უწყვეტად მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გასაძლიერებლად და ხელს უწყობს დაწესებულებაში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. ○ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p>

<p>თსუ-ს აქვს კარგად განვითარებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, როგორც ცენტრალურ, ისე ფაკულტეტების დონეზე. ამ ოფისს გააჩნია ფართო პასუხისმგებლობა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების, განვითარებისა და აკრედიტაციის კუთხით, ასევე ინსტიტუციური განვითარებისა და ავტორიზაციის კუთხით. ბოლო გადაწყვეტილებებმა განსაზღვრა საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების ახალი პროცედურები, რომელთა დაწყება განისაზღვრა 2017-18 წლის გაზაფხულის სემესტრში. კვლევის/გამოკითხვის შედეგები გათვალისწინებული იქნება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისას, ასევე სასწავლო პროგრამების სტანდარტებში (რომელიც თვითშეფასების ანგარიშში თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესების ერთ-ერთ პუნქტს წარმოადგენს).</p> <p>ზოგადად, თსუ გამოხატავს ღირსეულ ამბიციებს, რათა გააძლიეროს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები და დაამკვიდროს ჭეშმარიტი ხარისხის კულტურა, რაც მართლაც მნიშვნელოვანია არა მარტო განათლებისა და კვლევისთვის, არამედ მთელი მმართველობითი პროცესისთვისაც.</p> <p>მიუხედავად ბოლო დროს განხორციელებული ბევრი ინტერვენციისა, ჯერ კიდევ ბევრი რამ რჩება გასაკეთებელი, სულ მცირე, შეროვებული მონაცემებისა და რჩევების გამოყენებით ძლიერი გამოხმაურების ციკლის შექმნა. ამგვარი გამოხმაურება, ასევე, მნიშვნელოვანია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის განვითარებისთვის. ჯგუფმა ვერ დაადგინა, ეს უკვე კეთდება სისტემატურად, თუ არა.</p> <p>კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც ჯგუფს სურს რომ გამოყოს, არის (სტუდენტური) გამოკითხვების შესაბამისი მნიშვნელობა. თუმცა, ამას არ შეუძლია და არც უნდა შეცვალოს შესრულების მონაცემებზე დაყრდნობით განათლებისა და კვლევის ხარისხის სისტემატური ანალიზი.</p> <p>თსუ-ს აქვს სტუდენტთა დაგეგმვის მყარი პროცედურა.</p> <p>დამატებითი დაკვირვებები მედიცინის ფაკულტეტის შესახებ. პერსონალისა და სტუდენტების აზრით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კარგად მუშაობს. სტუდენტების გამოკითხვა დაიწყო 2012 წელს. კვლევის შედეგებს განიხილავენ საფაკულტეტო შეხვედრებზე. მათ მოჰყვა ცვლილებების ფართო სპექტრი (მაგალითები: ინფრასტრუქტურა, ახალი უნარების ლაბორატორია და ბიბლიოთეკა, ცვლილებები კურსების შინაარსში (ქიმია). ზოგიერთი კურსი, რომელიც სტუდენტების მხრიდან არასაჭიროდ ითვლებოდა, ხელახლა შეფასდა და ამოღებული იქნა პროგრამიდან. (ტექნიკური) პრობლემების (კომპიუტერები, მულტიმედია, ნაშრომები, წიგნები და სხვ.) უმრავლესობა აკადემიური წლის დაწყებამდე მოგვარდა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>თმა, სტრატეგიული გეგმა (სტრატეგიული მიზნები 5 და 10), სამოქმედო გეგმა. ინტერვიუები შესაბამის პერსონალთან და პროგრამების ხელმძღვანელებთან.</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გაძლიეროს საკუთარი ძალისხმევა ხარისხის უზრუნველყოფაზე მუშაობის ინტენსიფიკაციის კუთხით. საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განვითარებისა და განახლების პროცესში გაითვალისწინოს სტუდენტთა მოსწრების სტატისტიკა და შეფასების რჩევები. სწავლის პროცესის განვითარებისა და სამუშაო ბაზრის მიმართულებით წარმატების მიღწევის ინტერესებიდან გამომდინარე.</p>
<p>რჩევები:</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>
<p>2,3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა</p> <ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ს შემუშავებული აქვს რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც იცავს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს. ასეთი რეგულაციები საჯაროდ არის ხელმისაწვდომი. ○ დაწესებულებას განხორციელებული აქვს პლაგიატის დადგენისა და მისი პრევენციის მექანიზმები. ○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>თსუ იცავს აკადემიურ თავისუფლებას ხელმისაწვდომობისა და გახსნილობის, მართვის გამჭვირვალობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის ინტერესების გათვალისწინებით. მისი ეთიკის კოდექსით რეგულირდება პერსონალისა და სტუდენტების ქცევა უნივერსიტეტის ღირებულებებისა და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედებს დისციპლინური და ეთიკური ნორმების დარღვევის კომისია (რეგულირდება კონკრეტული დებულებით). კომისია რეგულარულად იკრიბება საჭიროებებიდან გამომდინარე (2017 წელს 16 ჯერ). მისი ანგარიშებიდან ნათელია, რომ საკმაოდ ბევრი შემთხვევა იყო განხილული. ეს მიუთითებს, რომ კომისია კარგად მუშაობს. თუმცა, ამავე დროს, საკმაოდ ბევრი ადამიანი მიუთითებს, რომ სტუდენტები და პერსონალი უკეთ უნდა ფლობდნენ ცოდნას ეთიკის ნორმებისა და ღირებულებების შესახებ.</p> <p>პლაგიატიზმი არის ეთიკის კოდექსით ცხადად დაგმოილი ერთ-ერთი დარღვევა. თსუ ამ კუთხით თანამშრომლობს საერთაშორისო დონეზე, რაც გულისხმობს ცნობიერების ამაღლებას კეთილსინდისიერების საკითხებში და პლაგიატის აღმოჩენისა და პრევენციის შესახებ ტრენინგების მიწოდებასა და პროგრამულ ინსტრუმენტებს. ამასთანავე ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ცნობიერებისა და პრევენციის ხარისხი, ამ ეტაპზე კარგად განვითარებული არ არის. მაგალითად, სამედიცინო ფაკულტეტზე სტუდენტები არ იცნობენ ეთიკის კოდექსს. პლაგიატიზმი ყოველთვის არ არის აღიარებული და სანქციები გაურკვეველი ან უცნობია.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>თმა სტრატეგიული გეგმა (ამოცანა I.1). ინტერვიუები შესაბამის პერსონალთან, სტუდენტებთან და ფაკულტეტთან.</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა ორგანიზება გაუწიოს სარეკლამო კამპანიას და მოაწყოს სასწავლო ვოკაშოპები აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე ცნობიერების ასამაღლებლად, უზრუნველყოს, რომ ყველა ფაკულტეტი და სტუდენტი კარგად გაეცნოს აკადემიურ ნორმებსა და სანქციებს დარღვევების შემთხვევაში და თავიდან აიცილონ ასეთი დარღვევები.</p>
<p>რჩევები:</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>შეფასება</p> <p>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

3. საგანმანათლებლო პროგრამები

დაწესებულებას აქვს პროცედურები საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენის, დამტკიცების, შემუშავებისა და გაუქმებისათვის. პროგრამის სწავლის შედეგები ცხადად არის განსაზღვრული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს თავისი მიზნებისა და განზრახული სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება</p>
<p>დაწესებულებას აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენის, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.</p>
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>თსუ-ს აქვს პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განახლების პოლიტიკა. თუმცა, ჯგუფი ვერ დარწმუნდა, რომ პროგრამების მოდერნიზაცია პრიორიტეტულია უნივერსიტეტის მასშტაბით.</p>

დადებითი განვითარების მანიშნებელია ბოლოდროინდელი დარგის ნაწილობრივ გარე კომიტეტების შემოღება, რომლებიც განიხილავენ პროგრამის განახლებას შრომის ბაზრის მოთხოვნების, დამსაქმებელთა გამოხმაურებისა და სტუდენტის მოსწრების მაჩვენებლების გათვალისწინებით. თვითშეფასების ანგარიში, ასევე, გვთავაზობს გარე ექსპერტების რჩევების გათვალისწინების კარგ მაგალითებს (როგორცაა სამართლის ფაკულტეტის შემთხვევაში). თუმცა, შრომის ბაზრის ანალიზი, პროგრამის განვითარების ინტერესიდან გამომდინარე, არ არის პრაქტიკაში დანერგილი სისტემატური გზით. ის უფრო მეტად ეფუძნება ინდივიდუალურ კონსულტაციებს შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან. ამ შემთხვევაში, ჯგუფი ნათლად ხედავს გასაუმჯობესებელ მხარეს. უფრო ზოგადად, დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის განვითარებაში, ძირითადად, არაფორმალურია და კარგად არ არის სტრუქტურირებული. პროგრესის ანალიზის პროცესი უფრო რეგულარული და ერთიანი უნდა იყოს. სფეროს ახალმა კომიტეტებმა, კურიკულუმის ინოვაციურობის ზრდისთვის უნდა აიღონ პასუხისმგებლობა პროცესში დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართვაზე.

თვითშეფასების ანგარიშში წარმომადგენელია 2011-2017 წლების სასწავლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების რამდენიმე მაგალითი, ასევე, 2017-2018 წლების სილაბუსების შეფასების შედეგების მიმოხილვა.

მედიცინის ფაკულტეტზე ფუნქციონირებს 9 პროგრამა და მომზადების სტადიაში ინოვაციური კურიკულუმი ექიმებისათვის (ქართულ ენაზე; მათ შორის 10 კრედიტი კლინიკურ უნარებში, 8 კრედიტი კვლევის უნარებში და 2 კრედიტი ბიოსტატისაში). შეთანხმებები კლინიკურ პრაქტიკაზე გაფორმებულია 52 საავადმყოფოსთან, კლინიკასა და ამბულატორიულ განყოფილებასთან. კლინიკური უნარების ლაბორატორია ჯერჯერობით არ მუშაობს, მაგრამ მომავალ სასწავლო წელს მზად იქნება. ამჟამად, კლინიკური პრაქტიკა (სიმულაციებით) ხორციელდება სამედიცინო ცენტრ "მედიკლაბ ჯორჯიაში".

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში, ინტერვიუები შესაბამის პერსონალთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები:

გთავაზობთ, რომ უნივერსიტეტის მასშტაბით საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი და სისტემატური მოდერნიზება გახდეს პრიორიტეტი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები მკაფიოდაა განსაზღვრული და ისინი შეესაბამება უმაღლესი განათლების დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას
- ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების დახმარებით, უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა სხვადასხვა მოთხოვნებს, საჭიროებებს და აკადემიურ მოსწრებას, და უზრუნველყოფს განათლების პროცესში მათ შეუფერხებელ ჩართულობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ სთავაზობს 218 აკრედიტებულ პროგრამას, რომლისთვისაც მას გააჩნია რეგულაციები, როგორც პროგრამის აღწერის (სწავლის შედეგების ჩათვლით), ისე კრედიტების მიკუთვნების, სილაბუსის შედგენის და შეფასებისათვის. ცოტა ხნის წინ, აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების განხორციელების წესები. სტუდენტთა გამოკითხვებმა შექმნა სასწავლო პროცესის, პროგრამის შინაარსისა და სწავლების მიწოდების შესახებ გამოხმაურების მონაცემთა მნიშვნელოვანი ბაზა. ჯგუფისთვის არ არის ნათელი, თუ

აღნიშნული მონაცემები რა პირდაპირ ზეგავლენას ახდენს პროგრამის ცვლილებაზე, სწავლების ინოვაციებზე და / ან სტუდენტთა სწავლის პროცესზე. დამსაქმებელთა გამოკითხვები მეტყველებს, რომ არსებობს უფრო მეტი მოთხოვნა სწავლა-სწავლების ინტერაქტიულობაზე, სწავლის მეტ პრაქტიკულ ფორმებზე და მეტ ტრენინგებზე უნარების განვითარების კუთხით. ამ სიგნალების კომბინაცია წარმოადგენს ძლიერ არგუმენტს პროგრამებში ცვლილებების შესატანად.

უფრო ზოგადად, თსუ-ს განცხადებული მისია, რომ იყოს სტუდენტზე ორიენტირებული ინსტიტუტი, ნათლად უნდა იყოს ასახული პოლიტიკაში, რომელიც ორიენტირებული იქნება იმაზე, რომ სტუდენტის სწავლების მიმართულებები გახადოს უფრო მოქნილი და რისკის ქვეშ მყოფი სტუდენტები (ვისაც დასჭირდება დამატებით სწავლება ან ინდივიდუალური პროგრამა) გამოავლინოს საწყის ეტაპზე მათივე მოსწრების მაჩვენებლის გამოყენებით. უფრო მეტიც, სტუდენტებისათვის თვალის მიდევნება ("student tracking") წარმოადგენს სასარგებლო ინსტრუმენტს სასწავლო პროგრამებში ხარვეზების გამოსავლენად.

ჯგუფს ესმის, რომ თითქმის ყველა ფაკულტეტზე 5 ან 10 კრედიტიანი საგნები არის სტანდარტი. ის ფიქრობს, რომ ეს სტანდარტი უფრო მეტად მოქნილი უნდა იყოს.

ზოგიერთი ფაკულტეტის წევრებს, როგორც ჩანს, ცუდად ესმით საგანმანათლებლო პროგრამებში ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაციის მნიშვნელობა და მათ მიერ მოყვანილი მაგალითები (მსგავსად ენის კურსების ინტეგრაციისა პროგრამებში), ხშირად, არ წარმოადგენს ინტეგრაციას. ანალოგიურად, ზოგიერთი ფაკულტეტის წევრები კარგად ვერ იაზრებენ სწავლის შედეგების ცნებას. მოსწავლეთა უმრავლესობას არა აქვს ინფორმაცია სწავლის შედეგების შესახებ არც კურსის შესწავლის დაწყებამდე და არც მისი მიმდინარეობის დროს. როგორც ჩანს, ყველას კარგად არ ესმის სწავლის შედეგების მნიშვნელობა და მათი როლი სასწავლო პროცესის დაგეგმვაში.

თსუ სთავაზობს რამდენიმე ინტერდისციპლინარულ პროგრამას (მაგ. მაგისტრატურა გენდერულ კვლევებში, რომელიც ერთადერთია რეგიონში), მაგრამ მათ აქამდე სათანადო აღიარება ვერ მოიპოვეს.

იმ ფონზე, რომ თსუ-ს სტრატეგიულ გეგმაში ინტერნაციონალიზაცია ერთ-ერთ პრიორიტეტად არის აღნიშნული, ექსპერტთა ჯგუფმა, არსებული ერთობლივი და მობილობის პროგრამების გარდა, მსგავსი პრიორიტეტი უნივერსიტეტის მიერ სამომავლოდ შემოთავაზებულ პროგრამებში ვერ გამოავლინა.

მედიცინის ფაკულტეტი გათავაზობს სწავლებისა და სწავლის პროცესების ნარევს. მათი უმრავლესობა, სემინარებიც კი, მასწავლებლებზეა ორიენტირებული. სტუდენტები საკმაოდ პასიურები არიან. ზოგიერთი პედაგოგი გადის ტრენინგს PBL-სა და CBL-ში. პედაგოგები უნდა იყვნენ უკეთესად მომზადებულები ახალ მიდგომებში სწავლებისადმი და სურდეთ სტუდენტების უფრო მეტად გააქტიურება. სტუდენტები ნამდვილად არ არიან ჩართული პაციენტის მენეჯმენტში. მათი სემინარები ეძღვნება თეორიულ დისკუსიას ან დაკვირვებას. სტუდენტები ამბობენ, რომ შესაძლოა, სავადმყოფოში დამატებითი საათებით დარჩენ ოპერაციებზე დასასწრებად, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ეს სავალდებულო არ არის, იგულისხმება, რომ ყველა მათგანი ამას არ აკეთებს. პრაქტიკული უნარები არ განიხილება სწავლის შედეგებად, რომლებიც უნდა შეფასდეს. მოწვეული კადრები ცდილობენ ჩართონ სტუდენტები მეტ კლინიკურ გამოკვლევაში და სტუდენტებიც იღებენ გამოხმაურებას მათ მიერ შესრულებულ სამუშაოზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში, ინტერვიუები შესაბამის პერსონალთან, ფაკულტეტთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, რომ სტუდენტის სწავლის პროგრესის შესახებ სტატისტიკური მონაცემები სისტემატურად გამოიყენებოდეს რისკის ქვეშ მყოფი სტუდენტების გამოსავლენად და ინდივიდუალური სწავლების საჭიროებების დასადგენად.

რეკომენდირებულია, რომ მედიცინის ფაკულტეტმა ცოდნის, უნარებისა და ქცევის კომპეტენციებში მოახდინოს კომბინირებული ინტეგრაცია. 2018 წლის დოკუმენტის კრიტერიუმების გათვალისწინებით, საჭიროა უფრო მეტი ტრენინგი უნარების კუთხით, განსაკუთრებით პროცედურული უნარების მიმართულებით კლინიკური გასინჯვისა და დიფერენციალური დიაგნოზი დასმის უნარების ჩათვლით.

რჩევები:

გათავაზობთ, რომ შემოიღოთ საბაზისო კრედიტების უფრო მოქნილი ფორმები (ვიდრე მხოლოდ 5 ან 10). ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაცია უნდა იყოს ჩვეულებრივი ფუნქცია პროგრამის დაგეგმვაში.

<p>თსუ-ს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია უნდა განვითარდეს ახალი საერთაშორისო სასწავლო პროგრამების შექმნის კონტექსტში და მოიცავდეს უკვე არსებულ ინტერდისციპლინარულ პროგრამებს.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/>ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>
<p>3.3 სწავლის შედეგების შეფასება</p>
<p>უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.</p>
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>თსუ-ს აქვს სტუდენტის სწავლის შეფასების კარგად განვითარებული სისტემა. მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან შეფასების პროცესზე, რაც მაღალი ხარისხით არის ცენტრალიზებული. მნიშვნელოვანი უმრავლესობა მიიჩნევს მას გამჭვირვალე და კარგად ორგანიზებულ პროცესად. სტუდენტების ძირითადი წუხილი შეეხება პირდაპირი ან / და ინდივიდუალური გამოხმაურების ნაკლებობას.</p> <p>საგამოცდო ქულების თაობაზე საჩივრების შედარებით მაღალი რაოდენობა შეიძლება უკავშირდებოდეს პირდაპირი გამოხმაურების არარსებობას. ის, ასევე შეიძლება აიხსნას ტესტების დიზაინში პროფესიონალიზმის ნაკლებობით. კარგი იქნება, თუ საგამოცდო ცენტრი ამ მიზნით გაუწევს დახმარებას პედაგოგებს.</p> <p>უფრო მეტიც, გასაჩივრების პროცედურა არ არის რაციონალური, რადგან, ნაცვლად მესამე მხარისა, სადავო ნაწერს ისევ იგივე აკადემიური პერსონალი ასწორებს. მესამე მხარის ჩართულობა ხელს შეუწყობდა კომპრომისის მიღწევას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>თვითშეფასების ანგარიში, ინტერვიუები პერსონალთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან.</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სტუდენტების მიერ მათი ტესტების შედეგების თაობაზე მიიღონ დროული და პირდაპირი გამოხმაურება.</p>
<p>რჩევები:</p> <p>გთავაზობთ, რომ გადაიხედოს სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რათა ის იყო უფრო მტკიცე და ნაკლებად სადავო. გასაჩივრების სამართლიანი პროცედურები უნდა მოიცავდეს მესამე მხარის შეფასებას.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/>არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, დასაქმებული (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე) პერსონალის მაღალკვალიფიციურობას, ამგვარად, მათ უნარი შესწევთ ეფექტიანად მართონ საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პროცესები და მიაღწიონ დაწესებულების

სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

<p>4.1. პერსონალის მართვა</p>
<ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ს აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროცესისა და სხვა საქმიანობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს კვალიფიციური აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის დასაქმებას.
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სამართლიანი და გამჭვირვალე პროცესის თვალსაზრისით, თსუ-ს გააჩნია ადამიანური რესურსების მართვის ადეკვატური რეგულაციები და პროცედურები. ზოგადად, დასაქმება და აკადემიურ თანამდებობებზე არჩევა ხდება უნივერსიტეტის მასშტაბით მოქმედი პროცედურებით. იგივე ეხება ავილირების, ჯანმრთელობის დაზღვევის, პირადი მონაცემების დაცვის, სარგებლის, პრემიებისა და ჯილდოს წესებს. თვითშეფასების ანგარიში პერსონალის შეფასების სისტემას განსაზღვრავს როგორც სუსტ მხარეს (იხ. სტრატეგიული მიზანი 10).</p> <p>როგორც ჩანს, არის ორი საკითხი, რომლებიც საჭიროებენ გულმოდგინედ განხილვასა და რეაგირებას. თვითშეფასების ანგარიშში მკაფიოდ არის განსაზღვრული: სახელფასო პოლიტიკა უნდა გადაიხედოს, რადგან ხელფასები განსხვავდება არა მხოლოდ შესასრულებელ სამუშაოსა და თანამდებობაზე დაყრდნობით, არამედ სამუშაო პოზიციის ადგილმდებარეობითაც. ფაკულტეტების დაფინანსების განსხვავებული ოდენობა გამოიხატება სხვადასხვა ფაკულტეტის წევრებს შორის განსხვავებულ ხელფასებით. ასევე იხილეთ I.11. სტრატეგიული ამოცანა.</p> <p>სხვა თემა აკადემიური და სამეცნიერო (მოწვეული) პერსონალის შემადგენლობა. მონაცემები ნათლად აჩვენებს დისბალანსს ასაკობრივ განაწილებაში. იხილეთ, თვითშეფასების ანგარიში, 144 გვ. SWOT ანალიზში ნათლად არის აღნიშნული გაახალგაზრდავების საჭიროება (სისუსტეებში აღნიშნულია ახალგაზრდების ნაკლები ჩართულობა სწავლებასა და სამეცნიერო კვლევებში). გამოკითხვების მიხედვით, სტუდენტები გამოთქვამენ წუხილს მოძველებული სწავლების მეთოდების თაობაზე. მიუხედავად ამისა, აღნიშნული საკითხი ჯერ კიდევ არ არის მოხსენიებული გამოსწორების საჭიროების მქონე სტრატეგიული მიმართულებებში. აკადემიური პერსონალის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი არ არის ნათელი. სტრატეგიულ გეგმაში მხოლოდ X.2 ნაწილშია მითითებული, რომ იგეგმება კონკრეტული პროგრამებისთვის სპეციალური ფონდის შექმნა ახალგაზრდა პერსონალის მოსაზიდად ისეთი ხერხებით, როგორებიცაა პოსტდოქტორანტურა და სპეციფიკური კვლევითი პროექტები. უფრო მეტიც, თითქმის ყველა ფაკულტეტის კონკრეტული სამიზნე აკადემიური პერსონალის ძალიან მაღალი შეკავების დონის მიღწევა. კადრების დიდი დენადობის არარსებობა, რაც შექმნიდა ფანჯარას ახალი პერსონალისთვის, არის ამის კიდევ ერთი მკაფიო სიგნალი. უფრო მეტიც, აკადემიურმა საბჭომ ცოტა ხნის წინ დაუჭირა მხარი პოლიტიკას, რომელიც საშუალებას აძლევს 65+ კანდიდატებს მონაწილეობა მიიღონ აკადემიური თანამდებობების დასაკავებელ კონკურსებში.</p> <p>იმისათვის, რომ ახალგაზრდა პერსონალისთვის გაიზარდოს შანსები, რეკრუტირების პროცედურები უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და სამართლიანი. ვაკანსიები უნდა გამოცხადდეს საჯაროდ და იყოს რეალური (რაც იმას ნიშნავს, რომ არ უნდა არსებობდეს ფორმალური საშუალება წინასწარ შერჩეული კანდიდატის ასარჩევად).</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>თვითშეფასების ანგარიში, სტრატეგიული გეგმა, ინტერვიუები უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, შესაბამის პერსონალთან და ფაკულტეტთან.</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა გადახედოს თავისი პოლიტიკის, კრიტერიუმებისა და მიზნების თანამიმდევრულ დაგეგმვას, რათა თანდათანობით ასაკობრივად უფრო დაბალანსებული გახადოს აკადემიური პერსონალის შემადგენლობა.</p>
<p>რჩევები:</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>

<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>
<p>4.2. აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა</p> <p>აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო რაოდენობა და დატვირთვა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, და ასევე მათთვის დაკისრებული სხვა ფუნქციების ადეკვატურია</p> <p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის მასშტაბით განაწილება არათანაბარია, სტუდენტი / პერსონალის თანაფარდობა, საშუალოდ, დამაკმაყოფილებელია. ეს მიუთითებს იმაზე, რომ საერთო რიცხვი და დატვირთვის ოდენობა ადეკვატურია. მიზანშეწონილი იქნებოდა მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეკვეცა, რათა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის როლი და პასუხისმგებლობა. კვლევისთვის საჭირო მონაცემები ჯგუფისათვის არ იყო ხელმისაწვდომი. თვითშეფასების ანგარიში (85 გვ.) ამბობს, რომ სამეცნიერო დატვირთვა "არ არის გაზომვადი მონაცემი". ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგადი შეფასების გაკეთება შეუძლებელია. კვლევითი სამუშაოების განვითარება დამოკიდებულია კონკრეტული ფაკულტეტის მიერ კვლევითი პროექტებისა და პორტფოლიოების შემუშავებაზე.</p> <p>ჯგუფთან ინტერვიუში რამდენიმე თანამშრომელი მიუთითებს იმაზე, რომ ისინი სრულყოფილად არ იცნობენ მოთხოვნებს დატვირთვის შესახებ.</p> <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>თვითშეფასების ანგარიში და შესაბამისი დოკუმენტები. ინტერვიუები პერსონალთან.</p> <p>რეკომენდაციები:</p> <p>რჩევები:</p> <p>მიზანშეწონილი იქნებოდა მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეკვეცა, რათა გაიზარდოს აკადემიური პერსონალის როლი და პასუხისმგებლობა.</p> <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები.

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტრებული გარემოს განვითარებას, სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის კარიერული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს; იგი ასევე უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებულობას, განახორციელებს განსხვავებულ აქტივობებს და ახალისებს სტუდენტების ჩართულობას ამ აქტივობებში. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების წესი, და განათლების აღიარება, და სტუდენტის უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

<p>თსუ-ს აქვს სტუდენტთა სტატუსისა და საგანმანათლებლო პროცესის ყველა აუცილებელი ელემენტისთვის საჭირო რეგულაციები და პროცედურები. ის ადეკვატურად იცავს სტუდენტის უფლებებს. ისევე, როგორც უნივერსიტეტთა უმრავლესობაში, უმაღლეს სასწავლებელში ჩატარებული გამოკითხვები მიუთითებენ, რომ სტუდენტები ყოველთვის არასრულად ფლობენ იმ ინფორმაციას, რომელიც მათ შესაძლოა დასჭირდეთ. თვითშეფასების ანგარიში და სტრატეგიული გეგმა (VIII და IX) აჩვენებს, რომ უნივერსიტეტი უწყვეტად მუშაობს შემდგომ გაუმჯობესებაზე.</p> <p>ცალკე თემა საერთაშორისო სტუდენტებისთვის ინგლისურ ენაზე ინფორმაციისა და კომუნიკაციის საჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების თქმით, ისინი ავრცელებენ ინფორმაციას კოპირების მეშვეობით (არაფორმალური კონტაქტების ან თარგმანის გამოყენებით), საერთაშორისო ამბიციებისა და სტატუსის მქონე უნივერსიტეტისთვის ასეთი მდგომარეობა შეუფერებელია.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>თვითშეფასების ანგარიში, ინტერვიუები სტუდენტებთან.</p>
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები:</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>
<p>5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ს გააჩნია სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურებები საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად. ○ უსდ-ს გააჩნია კარიერის მხარდაჭერის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებს შესაბამისი კონსულტაციით და მხარს უჭერს მათ დასაქმებასა და კარიერულ ზრდას. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას და მათ ჩართულობას უნივერსიტეტის დონეზე, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში და მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს. ○ უსდ-ს გააჩნია დაბალი სოციალური ფენის სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები.
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>თსუ-ს, ძირითადად, აქვს სტუდენტის დახმარების ყველა აუცილებელი სერვისი, ავასებს მათ ფუნქციონირებას და გეგმავს მის შემდგომ გაუმჯობესებასა და გაფართოებას. კარიერულ განვითარებაში მხარდაჭერა და სხვა დახმარებები საერთაშორისო სტუდენტებისთვის (განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც ქართულად კითხვა არ შეუძლია), არის ის სერვისები, რომელიც საჭიროებს შემდგომ განვითარებას. უნივერსიტეტი აღიარებს ამის საჭიროებას. ამავე დროს, სტუდენტების გამოკითხვები მიუთითებს იმაზე, რომ სტუდენტებისთვის ადვილი არ არის ინფორმაციის მიღება იმ სერვისების შესახებ, რომლებიც უკვე ხელმისაწვდომია. ასე, რომ მუდმივი განახლება არის მისასალმებელი. თვითშეფასების ანგარიში და სტრატეგიული გეგმა აჩვენებს, რომ უნივერსიტეტს ეს კარგად ესმის.</p> <p>მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა არ იციან დახმარების სამსახურის, კარიერული დახმარების სამსახურის, ომბუდსმენისა და სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ. ისინი, როგორც ჩანს, ძალიან მცირე დოზით არიან ჩართულნი სტუდენტურ ცხოვრებაში. თუმცა, ადვილად პოულობენ დახმარებას, როდესაც ეს მათ ესაჭიროებათ. ფაკულტეტის დონეზე სტუდენტებისთვის მოქმედებს მენეჯერის ინსტიტუტი. პრობლემების მქონე სტუდენტებს შეუძლიათ მათთვის მიმართვა და თავიანთი პრობლემების შესახებ საუბარი.</p>

საერთაშორისო სტუდენტურ ორგანოს არ მიმართავენ. ხშირ შემთხვევაში, ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ ქართული ენაზე (ვებ-გვერდი, ბიბლიოთეკა). საერთაშორისო სტუდენტები იყენებენ Google translate-ს, რათა გაიგონ ქართულ ენაზე არსებული ინფორმაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში, სტრატეგიული გეგმა, ინტერვიუები შესაბამის პერსონალთან, სტუდენტებთან.
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია, გაძლიერდეს და განვითარდეს სტუდენტური კარიერის მხარდაჭერის სერვისი, სტუდენტური სტაჟირება და უცხოელი სტუდენტების საინფორმაციო მომსახურება.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): სტუდენტები სარგებლობენ სწავლის საფასურის გადახდის ხელსაყრელი და მოქნილი სქემებით.
შეფასება <input type="checkbox"/> არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, მისი ტიპისა და კონკრეტული სფერო(ებ)ის გათვალისწინებით, მუშაობს კვლევითი ფუნქციების გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს სათანადო პირობებს კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად და აუმჯობესებს კვლევითი საქმიანობის ხარისხს.

6.1 კვლევითი საქმიანობა
<ul style="list-style-type: none"> ○ უსდ, საკუთარი ტიპისა და სფეროების სპეციფიკის გათვალისწინებით, ახორციელებს კვლევით და შემოქმედებით საქმიანობას. ○ უზრუნველყოფს სადოქტორო კვლევის ხელმძღვანელობის ეფექტიანობას. ○ დაწესებულებას გააჩნია გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები დისერტაციების შეფასებისა და დაცვის მხრივ, რომლებიც შეესაბამება სპეციფიურ სფეროებს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
<p>კვლევითი უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, თსუ-მ კვლევა და ინოვაციური საქმიანობა თავის უპირველეს სტრატეგიულ მიმართულებად გამოაცხადა და მიზნად ისახავს კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას, საერთაშორისო თანამშრომლობას და პუბლიკაციებს, მაღალი ხარისხის სტანდარტებს, პოსტ-დოქტორნატურის სისტემასა და ცოდნის სხვადასხვა ფორმით გადაცემას. დისციპლინების ფართო მაჩვენებლით, თსუ უკვე წარმოადგენს ანგარიშგასაწევ კვლევით ძალას, თუმცა სხვა საკითხებთან მიმართებაში არსებული პოტენციალი სრულად არაა გამოვლენილი. ამ მიზნით, თსუ-მ განსაზღვრა ბევრი სტრატეგიულ ამოცანა (1-4 სტრატეგიული მიზნები) ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის, ინტერნაციონალიზაციის ზრდისთვის, კვლევითი და საგანმანათლებლო პროცესების უკეთ ინტეგრაციისთვის, სახელფასო პრემიებისა და სტიპენდიების სისტემის გამართვისთვის.</p> <p>ბოლო წლებში 16 ეროვნული კვლევითი ინსტიტუტი გაერთიანდა თსუ-ში. უნივერსიტეტი აღიარებს ამ გაერთიანების დიდ პოტენციალს, თუმცა, აღნიშნავს, რომ მოუქნელი წესები და შეზღუდული დაფინანსება ხელს უშლის ამისაგან სრული სარგებლის მიღებას.</p> <p>თსუ, თითქმის ყველა შემთხვევაში, ყველაზე წარმატებული "მოთამაშეა" ეროვნული კვლევისა და დოქტორანტურის გრანტების მოპოვების კუთხით. რიგ სფეროებში, საერთაშორისო დაფინანსება თამაშობს მნიშვნელოვან და მასტიმულირებელ როლს.</p> <p>ფაკულტეტზე ჩატარებული გამოკითხვები აჩვენებს, რომ ხშირ შემთხვევაში, ადეკვატური კვლევითი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა განიხილება ყველაზე აქტუალურ პრობლემად.</p>

<p>თსუ-სთვის დოქტორანტები წარმოადგენენ ყურადღების ცენტრალურ ობიექტს. დღემდე მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის სტიპენდიები არის ხელმისაწვდომი. მართალია, არაა აღიარებული, მაგრამ დოქტორანტების უმრავლესობა ნახევარ განაკვეთზე მუშაობს; ბევრმა მათგანმა შეიჩერა სტატუსი. ამით აიხსნება დოქტორანტურის დამთავრების დაბალი მაჩვენებელი. ცოტა ხნის წინ შეიცვალა სადოქტორო ზედამხედველობის რეგულაციები (მაგ. თითოეულ ხელმძღვანელს შეუძლია ჰყავდეს მაქსიმუმ 5 კანდიდატი და უნდა ჰქონდეს მინიმუმ ერთი გამოქვეყნებული სტატია საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში). გათვალისწინებულია შემდგომი ცვლილებებიც (იხ. თშა, 135).</p> <p>უნდა აღინიშნოს, რომ თსუ-ში კვლევის შემდგომი განვითარება დიდწილად დამოკიდებულია დაფინანსებისა და დერეგულირების სამთავრობო პოლიტიკაზე. მიუხედავად იმისა, რომ მიესადასტურებელია კომერციალიზაცია და თანამშრომლობა საზოგადოების როგორც კომერციულ, ისე არაკომერციულ პარტნიორებთან, ისინი არ უნდა იქნეს განხილული, როგორც სახელმწიფო დაფინანსების ალტერნატივა. ვინაიდან მოკლევადიან პერსპექტივაში, აღნიშნულ საქმიანობას, ხშირად სარგებელზე მეტი ხარჯი აქვს.</p> <p>ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზეა უნივერსიტეტის კვლევისა და სწავლების სფეროში ეროვნული კვლევითი ინსტიტუტების ინტეგრაციის პროცესი. ჯგუფმა ვერ დაინახა შემდგომი განვითარების მკაფიო ხედვა. თუმცა, ცხადია, რომ ორივე მხარეს შეუძლია და უნდა მიიღოს კიდევ მეტი სარგებელი.</p> <p>აღმოჩნდა, რომ მედიცინის ფაკულტეტზე დოქტორანტების უმეტესობა ხელმძღვანელების მიერ შეირჩა მათ მიერ ადრე შესრულებული სამუშაოს საფუძველზე. ზოგადად, ზედამხედველობა, ნაკლებად გულისხმობს ზედამხედველსა და კანდიდატს შორის არსებულ ინდივიდუალურ სამუშაო ურთიერთობას. მცირე ამბიციის გამოხატული დოქტორანტების სწავლებისა და ხელმძღვანელობის მოდერნიზების მიმართულებით. ითვლება, რომ მედიცინის დოქტორისთვის შეუსაბამოა დოქტორანტურა რეზიდენტურის გარეშე. ასევე, მედიცინის სფეროში დოქტორანტურის დასრულების მაჩვენებელი ძალიან დაბალია (32%). ეს ძირითადად, სტუდენტის მოსწრებასა და/ან მის ცხოვრებისეულ პრიორიტეტებთან არის დაკავშირებული.</p> <p>ახალი კურიკულუმი ითვალისწინებს კვლევითი უნარების ვერტიკალურ გზას (კითხვითი უნარები, წერითი უნარები, ბიოსტატისტიკა, კვლევის მეთოდოლოგიები და ა.შ.). ამ გზამ, შესაძლოა აამაღლოს სამაგისტრო ნაშრომების ხარისხი. აღნიშნული საკითები, ამჟამად, ძალიან ერთფეროვნად არის სტრუქტურირებული (ძირითადად, ეფუძნება ლიტერატურის მიმოხილვასა და გამოკითხვებს) და გამოირჩევა დაბალი ინდივიდუალიზმით.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>თვითშეფასების ანგარიში, სტრატეგიული გეგმა. ინტერვიუები უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, ფაკულტეტთან, დამოუკიდებელ კვლევით გაერთიანებებთან, შესაბამის პერსონალთან, დოქტორანტებთან.</p>
<p>რეკომენდაციები:</p> <p>რეკომენდირებულია, რომ უნივერსიტეტმა აქტიურად შეუწყოს ხელი საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებას (ეროვნული და საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა, ცოდნის გადაცემა, სადოქტორო ზედამხედველობა და სადოქტორო სკოლები, კვლევისა და განათლების დაკავშირება) ყველა ფაკულტეტსა და სფეროში კვლევითი საქმიანობის ზრდის სტიმულირებისთვის. უნდა შემუშავდეს კვლევითი ინსტიტუტების თსუ-ში უკეთ ინტეგრაციის მიზნობრივი სტრატეგია.</p>
<p>რჩევები:</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>
<p>6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია</p>
<ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ში მოქმედებს კვლევითი, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტიანი სისტემა

- ახალი თანამშრომლების მოზიდვა და მათი ჩართვა კვლევით ან შემოქმედებით საქმიანობაში.
- დაწესებულება მუშაობს კვლევითი, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კვლევებისა და განვითარების მხარდასაჭერად თსუ-ს აქვს კარგი, მრავალფეროვანი სერვისებით აღჭურვილი სისტემა. ახალად მიღებული სახელფასო მოდელი (50% კვლევაში) სტანდარტი გახდება 2021 წლისთვის. საერთაშორისო თანამშრომლობა და გრანტების ძიება აქტიურად არის მხარდაჭერილი. პოსტ-დოქტორანტურის პოზიციის შექმნა კიდევ ერთი ძლიერი სტიმულია. ყველაფერ ამას ექსპერტთა ჯგუფი აღიქვამს კვლევის პრობემების გაუმჯობესებისა და ახალგაზრდა და / ან საერთაშორისო მკვლევარებისთვის მიმზიდველობის გაზრდაში დიდი ამბიციის მანიშნებლად. აკადემიური პერსონალის გადახალისების შესახებ ზევითაც აღინიშნა (მე-4 სტანდარტში). როგორც 6.1.-ში აღინიშნა, სათანადო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მისასალმებელია კვლევითი ინფრასტრუქტურის შექმნისა და მოდერნიზაციის ძლიერი ეროვნული საგრანტო სისტემის არსებობა.

ამავდროულად, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა მკვლევარმა, მათ შორის დოქტორანტებმა, დროულად მიიღონ გრანტების შესახებ ყველა შესაბამისი ინფორმაცია და საჭირო მხარდაჭერა განაცხადებისა და ანგარიშების წერის პროცესში. ჯგუფმა გამოავლინა, რომ აღნიშნული საკითხზე ყურადღება ჯერ კიდევ არაა გამახვილებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში, სტრატეგიული გეგმა. ინტერვიუები უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, ფაკულტეტთან, დამოუკიდებელ კვლევით გაერთიანებებთან, შესაბამის პერსონალთან, დოქტორანტებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები:

გთავაზობთ, რომ კვლევისა და განვითარების დეპარტამენტმა შეაფასოს საკუთარი ეფექტიანობა და ხელახლა განსაზღვროს საკუთარი საქმიანობის პრიორიტეტები იმის გათვალისწინებით, რომ ამოცანების საკმაოდ ფართო სპექტრი შეზღუდულ პერიოდზეა გათვლილი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

თსუ აფინანსებს სტუდენტურ პროექტებს, აქვს სტუდენტური ჟურნალების სერია შედეგების გამოქვეყნებისთვის და ორგანიზებას უწევს სტუდენტურ კონფერენციებს. დემონსტრირების კარგი გზაა, რომ კვლევითი უნივერსიტეტი ახალისებს თავისი ყველა პროგრამის სტუდენტებს კვლევით საქმიანობაში გააქტიურებისათვის.

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს აქვს კვლევითი / შემოქმედებითი საქმიანობის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების პროდუქტიულობის და აკადემიური / სამეცნიერო პერსონალის ხარისხის შეფასების და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, აკადემიური და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასების ახალი პროცედურა ცოტა ხნის წინ დაამტკიცა აკადემიურმა საბჭომ. ეს ახალი პროცედურა მოიცავს განხორციელებული საქმიანობის შესახებ თვითშეფასების ანგარიშებსა და მონაცემთა ფართო სპექტრს. თუმცა, სასურველია, რომ არ მოხდეს ზედმეტად კონცენტრირება პუბლიკაციებზე. კარგი კვლევის ზეგავლენა არ განისაზღვრება მხოლოდ მის რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებით. არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი საგანმანათლებლო პროცესში გამოყენება სასწავლო პროგრამის შექმნისას, სოციალური ინოვაციისა და ბიზნესის წარმოების კუთხით, საზოგადოებაში პროფესიული სტანდარტებისა და პრაქტიკის განვითარებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში, ინტერვიუ შესაბამის პერსონალთან.

<p>რეკომენდაციები:</p> <p>რეკომენდირებულია, რომ ახალი კვლევის შეფასების პროცესში გათვალისწინებული იქნეს კვლევითი "პროდუქტების" ფართო კომპლექტი და მათი ზეგავლენა.</p>
<p>რჩევები:</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ს მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფენ დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

<p>7.1 მატერიალური რესურსები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ დაწესებულებას გააჩნია ან მის მფლობელობაშია მატერიალური რესურსები (ფიქსირებული და მიმდინარე აქტივები), რომლებიც გამოიყენება დაწესებულების მისიისა და მიზნების მიღწევისთვის, ადეკვატურად პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება მოქმედი სტუდენტებისა და დაგეგმილი ჩარიცხვების არსებულ რაოდენობას. ○ უსდ-ში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებისთვის შესაფერისი გარემო: სანიტარული ობიექტები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობები და ცენტრალური გათბობის სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია სტუდენტებისა და თანამშრომლების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება. ○ უსდ-ს გარემო ადაპტირებულია სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
--

<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სტრატეგიული გეგმის SWOT- ანალიზის ფარგლებში მოძველებული ინფრასტრუქტურა ერთ-ერთი სუსტ მხარედ არის აღნიშნული. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვები მიუთითებს, რომ არასათანადო ინფრასტრუქტურა თსუ-ს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. გასაკვირი არ არის, რომ აღნიშნული საკითხი არაერთხელ არის ნახსენები სტრატეგიულ გეგმაში (IV, VIII, X). ახალი ლაბორატორიები, არსებული ლაბორატორიების რეაბილიტაცია, თანამედროვე ტექნიკა, გარემონტებული სასწავლო გარემო, ადეკვატური IT და მასმედიის საშუალებები სწავლის პროცესის მხარდასაჭერად, სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებზე ადაპტირებული ინფრასტრუქტურა, უნივერსიტეტის ქონების მართვის გრძელვადიანი პოლიტიკა - ეს არის სტრატეგიულ გეგმაში აღნიშნული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა შესრულებით თსუ-მ უნდა მიიღოს ისეთი ინფრასტრუქტურა, როგორც აუცილებლად სჭირდება.</p> <p>ჯგუფს შეუძლია ამ შეფასების მხოლოდ გამოვლენა. ხარისხიანი ინფრასტრუქტურა და ობიექტები, წარმოადგენს განათლებისა და კვლევის არა ფუფუნების საგანს, არამედ საფუძველს. სამოქმედო გეგმა შეიცავს სხვადასხვა სტრატეგიულ მიზანს მატერიალური რესურსების კუთხით. ბევრი მათგანი ეხება გეგმისა და გეგმაში აღნიშნული ინფრასტრუქტურის ნაწილების განახლებას, ზოგიერთ მათგანში მოცემულია განახლებისა და განვითარებისთვის საჭირო დიდი ოდენობის თანხები. 2018-2020 წლების დაგეგმილი ღონისძიებებში აღნიშნულია კონკრეტული პროექტები (როგორცაა ცენტრალური გათბობა, საევაკუაციო გასასვლელები და სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის საჭირო სერვისები). ნათელია, რომ აღნიშნული პერიოდი საკმაოდ მოკლეა იმისათვის, რომ რეალიზებულ იქნას ყველა ის საჭიროება, რომელიც მოცემულია სტრატეგიულ გეგმაში.</p> <p>ექსპერტთა ჯგუფს ესმის, რომ არსებული დაფინანსური სქემები არ იძლევა უნივერსიტეტში გამოვლენილი ყველა პრიორიტეტის განხორციელების საშუალებას. მიზანშეწონილი იქნებოდა ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ყოვლისმომცველი გეგმის მომზადება, რომელიც მოიცავდა გრძელვადიანი რესტრუქტურისა და განახლების სქემის კომბინაციას არსებული პორტფოლიოების შეფასებასა და რაციონალიზაციასთან. ასეთი გრძელვადიანი მიდგომის საფუძველზე, უნივერსიტეტმა შეიძლება მიაღწიოს ქვეყნის მთავრობისგან ყოვლისმომცველი და გრძელვადიანი ვალდებულების აღებას, რომ ერისა და ეროვნული</p>
--

განვითარების ინტერესიდან გამომდინარე თავის წამყვან სამეცნიერო უნივერსიტეტს საშუალება მისცეს სრულად შეასრულოს თავისი მისია.

მედიცინის ფაკულტეტი გვთავაზობს კარგ მაგალითს, თუ რა შეიძლება განხორციელდეს, როცა ბიუჯეტში საჭირო თანხები ხელმისაწვდომია. კლინიკური უნარების ლაბორატორია ფუნქციონირებას დაიწყო 2018 - 2019 სასწავლო წლიდან. ყველა მატერიალური რესურსი არის ახალი და უკვე ადგილზეა. რიგი ლაბორატორიების განთავსებულია "მთავარი კორპუსში": ექსპერიმენტული მოდელებების ლაბორატორია (ექსპერიმენტული ქირურგია) - სრულად აღჭურვილი; ექსპერიმენტული მოდელებების ლაბორატორია (მიკროსქირურგია) სრულად აღჭურვილი; PCR ლაბორატორია (გენეტიკური გამოკვლევებისთვის); ბიოქიმიისა და ნაწონაწილაკების კვლევის ლაბორატორია; უჯრედების კულტივირების ლაბორატორია (მონტაჟისთვის მზად არის); ნერვული სისტემის კვლევის ლაბორატორია - ლუნდის უნივერსიტეტის დეროვანი უჯრედების კვლევის ლაბორატორიის ერთობლივი ერთეული (მზადაა მონტაჟისთვის); ჰისტოპათოლოგიის ლაბორატორია (ჰისტოლოგია, იმუნოჰისტოქიმია, ჰისტოქიმია).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში, სტრატეგიული გეგმა სამოქმედო გეგმა ინტერვიუ შესაბამის პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს გრძელვადიანი ყოვლისმომცველი დაგეგმვის პროცესი და აადებინოს ხელისუფლებას ვალდებულება, რომ ძირეულად გააუმჯობესოს თსუ ინფრასტრუქტურა კვლევისა და განათლებისათვის.

რჩევები:

გთავაზობთ, რომ უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტი გახდეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკის გარემო, რესურსები და მხარდაჭერის სერვისები უზრუნველყოფენ საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებას და უსდ მუდმივად უნდა ზრუნავდეს მის გაუმჯობესებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ ფლობს მდიდარ ბიბლიოთეკას, სთავაზობთ სხვადასხვა სახის მომსახურებას სწავლებაში, სწავლასა და სამეცნიერო საქმიანობაში, საერთაშორისო ციფრულ მონაცემთა ბაზებთან ხელმისაწვდომობის ჩათვლითა და თავისი რესურსების განახლებისა და გამდიდრების გეგმებით (სტრატეგიული მიზანი IV.5-7). მომხმარებელთა გამოკითხვა აჩვენებს კმაყოფილების ხარისხს, სტუდენტებისთვის წიგნის თხოვების მომსახურების გარდა, უცხოენოვანი მასალების ხელმისაწვდომობას და ონლაინ რესურსების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. კორელაცია სილაბუსებში გამოყენებულ წყაროებსა და ბიბლიოთეკის ფონდს შორის საკმაოდ მაღალია.

ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ საჭიროა გეგმა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას შორის მჭიდრო თანამშრომლობის დამყარების კუთხით. ასევე, კიდევ უნდა აღინიშნოს, რომ იმ საერთაშორისო სტუდენტებს, რომლებმაც ქართული არ იციან, კარგად ვერ ემსახურებიან.

საჭიროა პერსონალისა და სტუდენტების ტრენინგი, რათა მათ სრულად შეძლონ ონლაინ საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენება, რადგან დღეს ძალიან მცირე რაოდენობის პერსონალი და სტუდენტები იყენებენ მას. ელექტრონული ბიბლიოთეკის გამოყენების პოპულარიზებამ და გამოყენების სტრუქტურულმა მონიტორინგმა, შესაძლოა მეტი მომხმარებელი მოიზიდოს და სერვისიც გაუმჯობესდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში, სტრატეგიული გეგმა სამოქმედო გეგმა ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან

<p>რეკომენდაციები:</p> <p>რეკომენდირებულია, რომ ყველა ბიბლიოთეკა უკეთ მომზადდეს საერთაშორისო (არაქართველი) სტუდენტებისა და პერსონალის მომსახურებისთვის. ზოგადად, ელექტრონული ბიბლიოთეკის რესურსები უფრო ინტენსიურად უნდა იქნას გამოყენებული.</p>
<p>რჩევები:</p> <p>გთავაზობთ, რომ უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს თანამშრომლობას ორ მთავარ ბიბლიოთეკას შორის.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> არსებითად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>
<p>7.3 საინფორმაციო რესურსები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ დაწესებულებამ შექმნა ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მისი ადმინისტრირება და მასზე ხელმისაწვდომობა არის უზრუნველყოფილი. ○ განხორციელებულია ელექტრონული სერვისები და ელექტრონული მართვის სისტემები და არსებობს მათი მუდმივი გაუმჯობესების მექანიზმები. ○ უსდ უზრუნველყოფს საქმიანობის უწყვეტობას. ○ უსდ-ს აქვს მოქმედი ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე.
<p>სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>უსდ-ს აქვს კარგი IT- ინფრასტრუქტურა და თანამშრომლებსა და სტუდენტებს სთავაზობს კარგ მომსახურებას. მისი საქმიანი პროცესები კარგად არის მხარდაჭერილი ციფრული სისტემებით. განახლებები და მოდერნიზაცია 2018-20 წლების სამოქმედო გეგმის ნაწილია. პრიორიტეტი უნდა იყოს სერვისების გაუმჯობესება საერთაშორისო სტუდენტებისთვის. ვებ-გვერდის შინაარსი ინგლისურ და ქართულ ენებზე ყოველთვის იდენტური არ არის.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <p>თვითშეფასების ანგარიში, სამოქმედო გეგმა ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან</p>
<p>შეფასება</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>
<p>რეკომენდაციები:</p>
<p>რჩევები:</p> <p>ინტერნაციონალიზაციის ინტერესიდან გამომდინარე, გთავაზობთ, ხელახლა შეაფასოთ სსმ სტუდენტებისთვის შესაბამისი ინტერნეტ მომსახურების მიწოდების ფუნქციონირების საკითხი.</p> <p>ვებ-გვერდის შინაარსი, ორივე ენაზე(ქართულად და ინგლისურადაც) უნდა იყოს სრული და იდენტური.</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>
<p>7.4 ფინანსური რესურსები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ უსდ-ს ბიუჯეტში წარმოდგენილი ფინანსური რესურსების განაწილება ეკონომიურად მიღწევადია.

- უსდ-ს ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული და საშუალო ვადიანი სამოქმედო გეგმების ფარგლებში აღწერილი საქმიანობების შესრულებას.
- უსდ-ს ფინანსური რესურსები ფოკუსირებულია დაწესებულების ძირითადი აქტივობების ეფექტურ შესრულებაზე.
- უსდ-ს ბიუჯეტი უზრუნველყოფს კონკრეტული კვლევების, ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და განვითარების დაფინანსებას.
- უსდ-ს გააჩნია ანგარიშგების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტიანი სისტემა

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ში მოქმედებს ფინანსური სისტემა, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და სამთავრობო რეგულაციებს. ბიუჯეტი უნივერსიტეტს აძლევს შესაძლებლობას განახორციელოს თავისი მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობა. თუმცა, თვითშეფასებისა და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესმა გამოავლინა რამდენიმე საკითხი (მაგალითად, სახელფასო სისტემის გაუმჯობესება, ახალგაზრდა პერსონალის რეკრუტირება, კვლევების ზრდა, ინფრასტრუქტურა და ობიექტების რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია), რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ ეხება ბიუჯეტს. ეს ლოგიკურად ნიშნავს იმას, რომ ფინანსური რესურსები განსაზღვრავს იმას, თუ რა შეუძლია უნივერსიტეტმა გააკეთოს ამბიციების განხორციელებისა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის თვალსაზრისით.

ბიუჯეტირებისა და დაგეგმვის საერთაშორისო სტანდარტების კონტექსტში, თსუ-ს ფინანსური ოპერაციების განხილვამ ჯგუფს უჩვენა, რომ დღევანდელი სისტემა არ იძლევა ხარჯებსა და შესრულებაზე დაფუძნებულ ბიუჯეტირების, შემოწმებისა და ანგარიშგების პრაქტიკის საშუალებას. ეს, არსებითად წესსა და უფლებამოსილებაზე დაფუძნებულ ბუღალტერიას წარმოადგენს, რაც ზღუდავს ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებას ცენტრალურ და საფაკულტეტო დონეზე დაგეგმვასა და შედეგზე ორიენტირებულ მართვასა და ხელმძღვანელობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში, სტრატეგიული გეგმა სამოქმედო გეგმა ინტერვიუ შესაბამის პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რეკომენდირებულია, რომ უნივერსიტეტმა შეისწავლოს ფინანსური მართვის სისტემის მოდერნიზაციის შესაძლებლობები და სასურველია, რომ ეს მოხდეს საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციასთან თანამშრომლობით.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან